ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3247926

ნომერი: AR1498519

თარიღი : 25.04.2017

გაცემის თარიღი : 11.05.2017

გაცნობის თარიღი : 11.05.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ყაზბეგი , N 32-34 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნინო ჩიტაიშვილი პ/ნ 01024016993
- თბილისი ალ.ყაზბეგის გამზ. N 4 ბ. 38

ნომენკლატურა :

- საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა
- შეტყობინება არქიტექტურულ ობიექტზე

გადაწყვეტილება

სამსახურმა განიხილა თქვენი #AR1498519 ელექტრონული განაცხადი, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, ყაზბეგის ქ. #32-34-ში (ს/კ #01.15.02.019.012) გაცემული სამშენებლო ნებართვის ასლს.

პასუხად გაცნობებთ, რომ 2011 წლის 22 მარტის #01/541 ბრძანებით ქ. თბილისში, ყაზბეგის ქ. #32-34-ში (ს/კ #01.

15.02.019.012) შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი.

2011 წლის 09 ნოემბრის #ნ/3589 ბრძანებით და #ნ/3589-1 მშენებლობის სანებართვო მოწმობით ქ. თბილისში, ყაზბეგის ქ. #32-34-ში, მოქალაქე გიორგი მჭედლიშვილის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე გაიცა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის ნებართვა და სანებართვო მოწმობა.

2014 წლის 13 თებერვლის #1120004 ბრძანებით შევიდა ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 09 ნოემბრის #ნ/3589 ბრძანებაში და საერთო ფართობად მიეთითა 3981.59 კვ.მ, საცხოვრებელ ფართად დაფიქსირდა 3245.76 კვ.მ, საზაფხულო ფართად მიეთითა 735.83 კვ.მ., ხოლო კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართად დაფიქსირდა – 501.39 კვ.მ.

მოთხოვნის საფუძველზე გიგზავნით 2011 წლის 22 მარტის #01/541 ბრძანების, 2011 წლის 09 ნოემბრის #ნ/3589 ბრძანების, #ნ/3589-1 მშენებლობის სანებართვო მოწმობის და #1120004 ბრძანების სკანირებულ ვარიანტს.

საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ კანონის მე-8 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად - სახელმწიფო ხაზინის ერთიან ანგარიშზე უნდა შეიტანოთ ასლის გადაღების მოსაკრებელი - 2 ლარის და 65 თეთრის ოდენობით. აღნიშნული დოკუმენტაცია შეგიძლიათ გაიტანოთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული შენობის პირველი სართულიდან (მე-4 სივრცე), შეტყობინების მიღებიდან მეორე სამუშაო დღეს, გატანის დროს საჭიროა წარმოადგინოთ აღნიშნული თანხის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი.
დანართი: 1 CD.
გადასახდელი თანხის რეკვიზიტებია:
1. მიმღები: ხაზინის ერთიანი ანგარიში
2. მიმღები ბანკი: სახელმწიფო ხაზინა
3. ბანკის კოდი: TRESGE22
4.ანგარიშის ნომერი: 200122900
5.სახაზინო კოდი: 300773173
6. გადახდის დანიშნულება: საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი. (#AR1498519 25.04.2017წ.)